სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 77

2014 წლის 01 სექტემბერი

ქ. თბილისი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის 2014 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №226/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", ,,ე1" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2014 წლის 25 თებერვლის №03 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის" 2014 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტს ფონდის ელექტრონულ ბაზაში არეგისტრირებს აპლიკანტი. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებ-გვერდიდან: www.rustaveli.org.ge .

3. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2014 წლის 10 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის 24:00 საათამდე.
4. „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის“ 2014 წლის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 23 ოქტომბერი, 17:00 საათი.
5. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
6. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.
7. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსის კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (სააპლიკაციო ფორმა) ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.
8. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.
9. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად.
10. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსის სარეკომენდაციო წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად.
11. დამტკიცდეს „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის” 2014 წლის საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების ფორმა ამ ბრძანების დანართი №7-ის შესაბამისად.
12. საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადი. არასრულყოფილი განაცხადი გამოეთიშება კონკურსს. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სავალდებულოა ამ ბრძანების დანართი 1-ით გათვალისწინებული PDF ფორმატში ატვირული დოკუმენტების ორიგინალების ფონდში წარმოდგენა.

13. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
14. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

თინათინ ბოჭორიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსულებელი

დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 01.09 N 77-ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის ერთობლივი 2014 წლის საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი №2); განცხადება ელექტრონულად გენერირდება პროექტის საბოლოო წარდგენისა და მისთვის უნიკალური შიფრის მინიჭების შემდეგ.
- სააპლიკაციო ფორმა (დანართი№3);
- საპროექტო წინადადება(დანართი№4)(pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს პროექტის ელექტრონული რეგისტრირებისას);
- ბიუჯეტი(დანართი №5);
- სარეკომენდაციო წერილი საქართველოს გამგზავნ უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერ-ხელმძღვანელისაგან (დანართი №6)(დასკანერებული pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს პროექტის ელექტრონული რეგისტრირებისას);
- სადოქტორო ან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (დასკანერებული pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს პროექტის ელექტრონული რეგისტრირებისას);
- გერმანული ან/და ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატი ან ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან (დასკანერებული pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს პროექტის ელექტრონული რეგისტრირებისას);
- პირადობის მოწმობის ასლი (დასკანერებული pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს პროექტის ელექტრონული რეგისტრირებისას);
- იულიხის კვლევითი ცენტრის მხრიდან კონკურსის საკონტაქტო პირის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნება მიმღები მხარის მზაობა კონკურსში მონაწილე მაგისტრანტის/დოქტორანტის სტაჟირებაზე მისაღებად მისი გამარჯვების შემთხვევაში. წერილის ასლი გამოგზავნილი უნდა იყოს ელ-ფოსტით შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში კონკურსის საკონტაქტო პირთან. (დასკანერებული pdf ფორმატში უნდა აიტვირთოს პროექტის ელექტრონული რეგისტრირებისას);
- დაფინანსების კანდიდატთა პირველად სიაში მოხვედრილმა აპლიკანტებმა როგორც იულიხის კვლევითი ცენტრში, ასევე ფონდში მითითებულ ვადებში უნდა წარმოადგინონ იულიხში მომუშავე მეცნიერ-ხელმძღვანელისაგან მოწვევის წერილი და პროექტით გათვალისწინებული კვლევის დაზუსტებული გეგმა (1-2 გვ.).

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა pdf ფორმატში ატვირთული დოკუმენტების ორიგინალების ფონდში წარდგენა.

<u>დანართი №2</u>

დამტკიცებულია

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2014 წლის 01.09 N-77 ბრძანებით

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის 2014 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №226/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის -- სექტემბრის №-- ბრძანებას, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის 2014 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ და ხელისმოწერით ვაცხადებ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე, ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ პროექტის შესახებ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანამანათლებლო პროგრამის 2014 წლის საგრანტო კონკურსში.

1. **პროექტის შიფრი:** JY/…/…/14
2. **პროექტის სათაური:**
3. **ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება (ევრო):**
4. **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):**
5. **პროექტის წარმომდგენი:**
6. **პროექტის წარმომდგენის სტატუსი:** მაგისტრანტი/დოქტორანტი

ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი N3

დამტკიცებულია

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2014 წლის 01.09 N77 -ბრძანებით

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

(სააპლიკაციო ფორმა)

1	აპლიკანტის სახელი, გვარი	
2	დაბადების წელი, თვე, რიცხვი, ადგილი	
3	აპლიკანტის სქესი, ოჯახური მდგომარეობა; შვილები	
4	აპლიკანტის პირადი ნომერი	
5	რეგისტრაციის ადგილი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით)	
6	საცხოვრებელი ადგილის მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)	
7	საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: ბინის, სამსახურის, ფაქსი, მობილური	
8	ელექტრონული ფოსტა	
9	აკადემიური სტატუსი: დოქტორანტი/მაგისტრანტი	
10	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	
	აპლიკანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში, მისი მისამართი, ტელეფონი,	

	ელ-ფოსტა	
11	სამეცნიერო კვლევის მიმართულება/ქვემიმართულება	
12	პროექტის სახელწოდება	
13	იმ ინსტიტუტის სრული დასახელება, სადაც დაგეგმილია სტაჟირება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) მისამართი, ვებ-გვერდი	
14	სტაჟირების პერიოდში აპლიკანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (იულიხის მხრიდან) და მისი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	
15	სტაჟირების გავლისათვის აუცილებელი უცხო ენა	
16	სტაჟირების ვადები	
17	აპლიკანტის შრომათა სია	
18	პროექტის მოკლე ანოტაცია (არაუმეტეს 300 სიტყვისა)	

დანართი N4
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 01.09 N77-ბრძანებით

საპროექტო წინადადება

პროექტის სახელწოდება:----------

1.სამეცნიერო კვლევის აქტუალობა, პრობლემის მიმოხილვა

2. კვლევის მიზანი და დასახული ამოცანები

3.კვლევის მეთოდიკა

4.კვლევის გეგმა

5.სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები და მიღებული გამოცდილების საქართველოში შემდგომი გამოყენების დასაბუთება;

6. დამატებითი ინფორმაცია

დანართი №5
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
***2014** წლის 01.05 №* 77 *ბრძანებით*

"შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის" 2014 წლის საგრანტო კონკურსის პროექტის ბიუჯეტი (ევროში)

		I პერიოდი	II პერიოდი	III პერიოდი	IV პერიოდი	V პერიოდი	VI პერიოდი	ჯამი
1	დღეების რაოდენობა							
2	ყოველთვიური სტიპენდია							
3	საერთაშორისო მგზავრობა (საქართველო-გერმანია, ორმხრივი მგზავრობა წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ) მიუთითეთ ბილეთების ჯამური ღირებულება							
	ჯამი							
	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა							

დანართი N6
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 01.05 N 77-გრძანებით

სარეკომენდაციო წერილის ფორმა

(ივსება გამგზავნ უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ; ხელმძღვანელის ხელმოწერა და უმღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ დამოწმება სავალდებულოა; ელექტრონულად აიტვირთება აპლიკანტის მიერ პროექტთან ერთად)

აპლიკანტის პირადი მონაცემები:

სახელი, გვარი	
აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)	
ამჟამინდელი საქმიანობა (თანამდებობა)	
სტაჟირებისას განსახორციელებლი კვლევის დასახელება	

ხელმძღვანელის პირადი მონაცემები:

სახელი, გვარი	
თანამდებობა/აკადემიური თანამდებობა	
აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი	
საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)	
ამჟამინდელი საქმიანობა (თანამდებობა, დაწესებულება/ორგანიზაცია)	
სხვ.	

- **რამდენი წელია/თვეა იცნობთ აპლიკანტს და რა პროფესიული და საქმიანი ურთიერთობა გაკავშირებთ მასთან**

- გთხოვთ, შეაფასოთ აპლიკანტი შემდეგი ნიშნების მიხედვით:

		უმაღლესი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	სუსტი
1	პროფესიული უნარ-ჩვევები				
2	სამეცნიერო პრობლემატიკაში ორიენტირების უნარი				
3	მიზანდასახულობა				
4	პასუხისმგებლობა				
5	მოქნილი აზროვნება				
6	კომუნიკაბელურობა და პროფესიული ეთიკა				

- გთხოვთ, განმარტოთ რატომ აძლევთ აპლიკანტს რეკომენდაციას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანამანათლებლო პროგრამის კონკურსისათვის.

სურვილის შემთხვევაში მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი N7

დამტკიცებულია

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2014 წლის 01.09 N 77-ბრძანებით

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის 2014 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმი	დიაპაზონი	ქულა	კომენტარი
1.	აპლიკანტის კვალიფიკაცია და შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ კვლევასთან	0-15		
2.	საკონკურსოდ წარდგენილი სამეცნიერო კვლევის აქტუალობა	0-20		
3.	დაგეგმილი კვლევის განხორციელებადობა სტაჟირებისთვის განსაზღვრულ ვადებში	0-10		
4.	კვლევის მოსალოდნელი შედეგების ღირებულება საქართველოსათვის	0-20		
5.	რამდენად საფუძვლიანად არის დასაბუთებული სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების გავლის აუცილებლობა	0-15		
6.	რამდენად დაეხმარება სტაჟირების პროგრამა აპლიკანტის პროფესიულ განვითარებას	0-20		